იმ დღეს ქართველმა მოხალისეებმა დიდი ზიანი მოგვაყენეს. დავითი, ჩემი ძმა, საღამოს 8 საათზე ნახევრად მკვდარი გამოვიყვანეთ ბრძოლის ველიდან. ასლანი მაშინ 8 თვისა იყო, თუმცა ეს მის საქციელს მაინც არ ამართლებს. თქვენ არ უნდა დაისაჯოთ წარსულის გამო, მაგრამ ომმა მტყუანი და მართალი არ იცის. თქვენ ერთმანეთისთვის არ გისვრიათ და ადვილად შესძლებთ ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას. თქვენ უნდა ააშენოთ ის, რაც ომმა დაგვინგრია აფხაზებსა და ქართველებს. ჩვენ ძალიან ბევრი საერთო გვაქს ქართველებთან. მით უმეტეს, მათთან, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ.

ეს დღე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, არამარტო იმიტომ, რომ სოხუმი პირველად ვნახე; იმიტომაც, რომ იმ დღიდან შევიძინე პირველი აფხაზი მეგობარი - ასლან ლაკირბაძა. თუმცა ორივეს დრო დაგჭირდა იმისთვის, რომ ერთმანეთისთვის ბოლომდე გაბეგძო. მტერსაც ხომ ასე უნდა: სხვა არჩევანი არ დაგვიტოვეს ქართველებსა და აფხაზებს.

ომს კი ყველთვის მრავალი მხარე აქვს. არც უნდა ვეძებოთ ერთმანეთში მტყუან-მართალი, რადგანაც სიმართლე მხოლოდ ის არის, რომ ჩვენ, ორი თანამომე ეთნოსი, მსხვერპლი გავხდით იმ დიდი იმპერიალისტური პოლიტიკისა, რომელმაც ბევრი ზიანი მოგვაყენა, როგორც ქართველებს, ასევე, აფხაზებს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზები და ქართველები ისევ შევძლებთ ერთად ცხოვრებას, წარსული შეცდომების გათვალისწინებით. მე გავიზარდე იმედით, რწმენით, რომ ოდესმე ჩვენ ერთად ცხოვრებას ვისწავლით.

მთავარია, გვჯეროდეს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.



„ზღვა, რომელიც შორია“



1919 წელს ბერლინის უნივერსიტეტში კონსტანტინე გამსახურდიას ლექციებს უკითხავდა მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი – ფონ ლიხტენბერგი.

ერთხელ ამ პროფესორს შემთხვევით ხელში ჩაუგარდა
მისი სტუდენტის ბლოკნოტი, სადაც ჩაწერილი იყო ერთი
ქართული ლექსი.

იმდენად მოიხიბლა ფონ ლიხტენბერგი მისთვის სრულიად უცნობი ხელწერით, რომ სოხოვა კონსტანტინე გამსახურდიას, სტამბურად ნაბეჭდი რომელიმე ქართული წიგნიც ეჩვენებინა მისთვის.

სტუდენტმა შეუსრულა თხოვნა პროფესორს.

სამი თვის თავზე აგარაკზე დასასვენებლად წასულმა ფონ ლიხტენბერგმა მისივე ხელით ქართულად დაწერილი ასეთი ბარათი გამოუგზავნა თავის სტუდენტზე:

„მე დაუფლებული ვარ მსოფლიოს ბარე 24 ენას და ასეთი ლამაზი ასოები, ასეთი პრაქტიკული, ზუსტად გამომხატველი ყოველი ბგერისა, მე სხვა ალფაბეტი არ მეგულება.“



პონსტანტინე ბამსახურდია.
1919 წ. გეორგი

Chorbac

ძვ. წ. აღ.-ით VI ს.-ში საბერძნეთში ცხოვრობდა ორი უდიდესი ფერმწერი – ზეგქსისი და პარაზიასი.

ერთხელ მათ სანაძლევ დადეს, რომელი შექმნიდა უკათეს ფერწერულ ტილოს.

ზევქსისმა ისეთი ოსტატობით დახატა ვაზი, რომ მოფრინდნენ ჩიტები და კენკვა დაუწყეს კურძნის მარცვლებს.

თვითმხილველებმა ტაშით დააჯილდოვეს უდიდესი ხელოვანი.

ამის შემსრულებელი პარაზიასმა, არანაკლებ სახელგანთქმულმა, ამაყად განაცხადა,



የወደም በግብር የሚገኘውን ንግድ ተስፋል ተስፋል ይችላል.

მალე პარაზიასმა ზევქსისს
მიუტანა თავისი ფერწერული
ნამუშევარი. ზევქსისმა სურათი
დაინახა და შეცვირა:

- სასწრაფოდ მოხსენი
ფარდა! მსურს, შენი ნახატი
დაგინახო!

- ჩემი ნახატი სწორედ ეს
არის, - უპასუხა პარაზიასმა, -
მა თაროა თავხატა!

- შენ გაიმარჯვე! – აღიარა
ზექვსისმა, - მე ჩიტები მოვატყუე,
შენ კი მხატვარი.

“ԱՅԵՐԴՈ ԹԵԱԳՈՎԱՐՈ, ..ԿԵՎՔՆՈՍՈ ՏԱԳԻԱՑՏ ՃՈՒՇՆԱՏ ՑԱՐՁԲՈՅ”



თრინკელთა მეტე

იოლანდიური თქმულება

თარგმნა დალი მუხამედ

ალბათ, იცით, ჭინჭრაქა როგორი პატარა და ეშმაკუნა ფრინველია. ამასთან, მატყუარა და ფლიდი. ხომ ერთი ციდაა, მაინც ფრინველთა მეფედ ითვლება. თურმე ეს წოდება მას გაიძვერობითა და თვალთმაქცობით ერგო.


აი, როგორ მოხდა ეს ამბავი:

იოლანდიაში, ყოვლად ბრძენისა და წინასწარმეტყველის – კოლმა კილას მოღვაწეობის დროს, მთელი სამყაროს ფრთოსნები შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, აერჩიათ საკუთარი მეფე.

მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სამეფო ტახტზე ყველას მოუნდა ასვლა. ფრინველები ერთმანეთთან ვერაფრით შეთანხმდნენ, საერთო ენა ვერ გამონახეს, ატყდა ერთი ვაი-უშველებელი, გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა. სამი წლის მანძილზე დაუნდობელი ომი მდგინვარებდა ქვეყნიერების ყველა დიდსა თუ პატარა ტყეში, მტაცებელსა თუ დაბუა ჩიტებს შორის.

ბოლოს ერთმა ბებერმა, მაგრამ ბრძენმა ყვავმა თავისი გონივრული გადაწყვეტილება ამცნო ფრინველებს:

- მოდით, წმინდა კოლმა კილას ვთხოვოთ რჩევა. ის დაგვეხმარება და ჩვენს შორის გამორჩეულს დაასახელებს. მეფეც ის იქნება!



ეს მოსაზრება ყველას მოეწონა.
და აი, მსოფლიოს ოთხივე
კუთხიდან დაიწყეს ფრთოსნებმა
თაგმოყრა; მოფრთხიალდნენ დინებოლოში,
სადაც წმინდანი კოლმა ცხოვრობდა.

იცით, ამ დროს რა მოხდა? ცა
ერთიანად დაიფარა ფრინველებით და
ჩამოწვა უკუნი დამე – არც მზე ჩანდა,
არც მოვარე.

წმინდა კოლმა გამოვიდა თავისი
პატარა ქოხიდან და იკითხა:

- რა ამბავია, რა გაგჭირვებიათ?
ჩიტებმა წვრილ-წვრილად
ყველაფერი უამბეს ბრძენკაცს და
პირობაც მისცეს, ყველანი შენს
გადაწყვეტილებას დავემორჩილებით.

მაშინ კოლმამ უბრძანა ჩიტებს,
სათითაოდ მიწაზე დაეშვითო.

მოდავე ფრინველები
ჩამოფრინდნენ, მიმოიფანგნენ და
ერთიანად მოედვნენ მთებს, ქედებს,
მდინარეებისა და ტბების ნაპირებს,
ნისლივით მოეფინენ ტყეებსა და
ველებს.



და თქვა კოლმბა:

- ყველაზე ყოჩალი და ძლიერი თქვენს შორის ის
იქნება, რომელიც დანარჩენებზე მაღლა
შეძლებს აფრენას. ფრინველთა მეფედ იმას
დავასახელებ!

ეს იყო ძალზე ბრძნული
გადაწყვეტილება. შეთანხმდნენ კიდევ:
წმინდანი ანიშნებდა ფრთოსნებს,
როდის უნდა აჭრილიყვნენ ცაში. ის
ფრინველი, რომელიც დანარჩენებზე მაღლა
აფრინდებოდა და, შესაბამისად, უფრო
გვიან ჩამოფრინდებოდა, ფრინველთა მეფედ
დაასახელებდნენ.

ასწია ხელი კოლმბა – ეს იყო მინიშნება.
წამსვე აიშალა ფრინველთა გუნდი და ყველანი
ერთდროულად ზეცაში აიჭრნენ.

ადამიანებმა, რომლებიც თვალს ადევნებდნენ ამ უცნაურ
შეჯიბრს, მოულოდნელი რამ იხილეს: ჯერ ჩამოვარდა ერთი ჩიტი, მას მეორე
მოჰყვა, მესამე... მეათე და ასე თანდათან, ერთმანეთის მიყოლებით ეშვებოდნენ,
თითქმის ცვიოდნენ დედამიწაზე ფრენით დაღლილი საბრალო ჩიტუნები.

მაგრამ არწივი რის არწივი იქნებოდა, ასე სწრაფად რომ გამოლეოდა ძალ-დონე,
დაღლილიყო, არ დაწინაურებულიყო? რა თქმა უნდა, აფრინდა ყველაზე მაღლა, ისე
მაღლა, რომ ღრუბლებსაც გასცდა; ლამის, მზეს ჩამოჰკრა ბრჭყალი.

მორჩა! დაშვების დროა! მაგრამ არწივის ქედმაღლობამ იმძლავრა! კიდევ ცოტა
მაღლა ავფრინდებიო, გაიფიქრა, სულ ოდნავ მაღლა...

თავმომწონე არწივმა ამაზე მეტი ვედარ შესძლო, ამაზე მეტად თავს ვერ მოერია,
ვერ აზიდა ფრთები და ტანი.

ის იყო, უნდა დაშვებულიყო, რომ ზეცას მიჩერებულმა ადამიანებმა უფრო უცნაური
რამ იხილეს:

უეცრად არწივის უზარმაზარი ფრთებიდან ციცქა ჩიტი გამოფრინდა, პაწია
ჭინჭრაქა. თურმე ამ მატყუარა და ეშმაკუნა ჩიტუნამ, ვიდრე არწივი ცისკენ მიფრინავდა,
მის ბუმბულში გადაწყვიტა დამალვა და იქ არხეინად მოკალათდა კიდევ.

ალბათ, ხვდებით, რატომაც ჩაიდინა ეს? გამოფრინდა ფრთის სამალავიდან, არწივზე
ოდნავ მაღლა აფრინდა და დედამიწაზე უკვე მეფედ დაბრუნდა.

წმინდანი მიუხვდა ეშმაკუნა ჭინჭრაქას ოინებს, მაგრამ მეფურ სიტყვას ვერ
გატეხდა.

ასე ერგო მეფობა გაიძვერა ფრთოსანს. მაგრამ განრისხებულმა კოლმამ დაწყევლა
ჭინჭრაქა:

- არწივის ფრთიდან ცამდე რა მანძილზეც აფრინდი, უფრო მეტ სიმაღლეზე
არასოდეს გეფრინოს! ეს კი შენთვისაც ერთი ციდა მანძილია, ბალახიდან მუხლამდე!

მას შემდეგ დაფრინავს მატყუარა ჭინჭრაქა დაბალ ბუჩქებზე, ღობის ძირში,
მაყვლიანში, ისეთ ადგილებში, თვალიც რომ ძლივს ამჩნევს.

ცაში კი ვერასდროს აიჭრება. ვერც დაიხსნის თავს იმ წყველისგან,
თვალომაქცობით რომ ერგო.

ძველად ამბობდნენ: ხშირად ჩვენი უსაქციელობით გატეხილი ცხვირიდა
შეგვრჩებაო.





მარანა ანუა

ქათელ-აფხაზები მჯახის ტერიტორია უკავშირდებოდა მაგრავი მხრივ მხოლოდ მასშის საჭიროებულობა.

მანანა ანეა - ღლეს აფხაზეთის მთავრობაში ნომბის ალეგრიისა და შეჲიგების საკითხებში მინისტრის მოაღირეა; მამა - იური ანეა - კომუნისტური ჩეჭომის პირობებში გაჩანაგებული, მექე კი მის მიერჩვე ალეგრიი ითანხმებოდა კაშხლის კაჲბითან მოყენები; ღერა - ზორა ადამია-ანეა - ღერათ-ღიაკვენობამერ ისიც სიკვდილის გამო, ღლეს კი საპატიონად მონაბეჭდი - ღერა მაჩიამი; მამა ანების (ყუჩაშვილი) - კომანის კაშხლის წინამდობარი იური ანეასთან ერთად ჩეჭვისა და შენიშვნის...

ვაგხძელებთ «იაღნის» წინა ნომერში (#32) მოწვევი სუმბის მანანა ანუას ღანყებელ მონოლითს წასულთან.

მიუხედავად ახაეთგზის განცილისა, ვიტერაც განახლებელი მოით ის მაინც უბენება ტიპუმნით ცობიც კომანის სალვოთ მიწას, ჰეჭება და ჰავდეს - მოსოფელის მონამეობივი სიუველის სამახსოვ ღლებსა და ექსტრემული საკისროებისა და განსხვავებელი ფსიქიკისა და ზნეობის აღმიანებთან ერთად მათიცაც ღაფლიქებელი ფჩაგმენტებით გაჯერებულ სინამდვილეს.

კომინის გრიტ

6262 ჰანტურია

დვინის ნების გარეშე ხდება ამ წუთისოფელში რამე?

პოდა,,გაიყო სამყარო შეუაზე და ნაპრალმა შიგ გულში გაიარა.“ ეს ბრეხეტის სიტყვებია. აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიასთან ერთად მუდამ რომ მაგონებს ორად გახდეჩილი საწუთროს ბზართან მდგარ მამაჩემს. ეს ქვეყნა ლოცვაზე დგასო, ხშირად იმეორებდა და მჯერა, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თავისიკე აგებული ტაძარი უფალსა და სიმართლეს მინდობილმა დატოვა.

მამით აფხაზმა და დედით ქართველმა იური ანუამ, ამ ომში ჯარისკაცი გერ ვიქწებიო და უიარაღომ გერც ალყაშემორტყმელი ბრძოლის ველიდან გააღწია. ივლისის ჯოჯოხეთად მოქცეული ის დამე კი, არავინ იცის, ვისთვის უფრო საპირწონე გახდა.

პეტრე-პავლობის მარხვა გრძელდებოდა. კომანიდან აფხაზეთის მთებში ჩაფლული, ომით მოშანდაკებული ამ პატარა სოფლიდან მოსახლეობა თითქმის ევაკუირებული იყო. ადამიანებისგან დაცლილ სახლებში, ეზოებსა და შუკებში, მოჭრიალე ჭიშკრების სიახლოეს ჩაკარგულ ავ სიჩუმეს ომის სმები ახშობდა. ხომ შეიძლებოდა, მიეფი მამას გადაწყვეტილება და კომანი მაშინ მაინც დაგვერგვებინა?

4 ივლისს ჭურვის ნამსხვრებმა შეიწირა აპაჩი, ჩევნი კაგასიური ნაგაზი. აპაჩი და არაბი, ეს ერთი ჯიშისა და საუცხოო გარეგნობის ლეკვები დაბადების დღისთვის მამამ ომამდე მოსკოვიდან ჩამოიყანა. თანდათან ძალიან სასაცილოები გახდნენ: მათ შემხედვარეს, გოლიათური აღნაგობის გამო, შიშისგან გული გისტებოდა. მაგრამ არც იტბინებოდნენ, არც იორინებოდნენ. ახლაც თვალწინ მიდგას



კომანის ხელი

ყვავილებთან და პეპლებთან მოთამაშე ეს
კეთილი არსებები, ეზო-კარს რომ იგლებდნენ
კუნტრუშით.

აპაჩის სიკვდილი, ომის ვითარებაშიც
ჩემთვის გადასატანი, ცუდად ძენიშნა. თოთქოს
უკვე ლულის მიზანში ვიყავით ამოღებული. ტაბარს
მაინც არ მივატოვებო, თქვა მამამ
და დაჟყვა უფლის ნებას. კომანიც იქვე
იყო, ორიოდე ნაბიჯზე და, არ ვიცოდით,
ერთმანეთთან ყოფნის დროც რომ გველეოდა.

როცა იმ დღეებს ვისტენებ, დიდი დრო
მჟირდება, წარსულში დაკარგულმა რომ
ვიცნო საჯუთარი თავი. უფალს იმ ჩვილივით
მივტარეთ, თავს დამტყდარ განსაცდელს
გაუცნობიერებდად რომ აღიქვამს და არც
იცის, რას ნიშნავს დედამიწაზე ხილული ცის
შეიღობა.




თამა, თვითს ნიშანის რეაგირება

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ
ასპირანტურაში სწავლა გადავდე და ერთი წელი იმ
დროისთვის უკვე დასრულებული კომანის ტაძრის მედავითნედ
ვიმსახურე, თანაც, გვალობი. სოხუმის საქათედრო ტაძრიდან
გადაბრანახებული იოანე ოქროპირის სასწაულმოქმედი
ქვის სარეკოფაგთან მშობლებთან ერთად სამადლობელ
აარაკლისებსაც ვიხდიდი.

ომით დაგეშილ სიბრძეება და ტყვიების ზუზუნში იმ
დამით სამივე კომანისაკენ გზას დავადექით.

მამა ანდრია მარტო იყო ტაძრში.

ასე მგონია, კომანის წინამდღვრის, 27 წლის მამა
ანდრიას (ყურაშვილი) სადარი მოწესე უჩინარი დგას ზეცასა
და მიწას შორის, უფრო უფალთან ახლოს და უფალივით
მორჩილი. უკვე რამდენგზის ნათქვამს ისევ ვიმეორებ: უკველესი პატერიკების* მლოცველებს თუ
შევადარებ მამა ანდრიას, გარეგნულადაც ხმელს, ასკეტურს, მშვიდს.



მამა ანდრია (ყურაშვილი)

ბერებისათვის უდიდესი მადლის მიმცემი ზეციური სიტყვებით დაუსრულებლად ელაპარაკებოდა
უფალსა და საკუთარ თავს: „უფალო, იესო ქრისტეო, შემიწყალე მე ცოდვილი!“ და ამ დროს არავისთან
არ იყო, სხვა სამყაროს, სხვა განზომილების მარტოსული ბინადარივით; თითქმის სინათლესაც ხედავდი,
გარშემო რომ ასხივებდა. გაცემის ისეთ ნიჭს ფლობდა, რომ დალოცვისა და კურთხევის თხოვნით მასთან
მისულ მორწმუნებს, აფხაზს, რუსს, ქართველს, ნებისმიერს, უფალთან ერთად გვერდით დაუდგებოდა და
დმერთი რომ თითოეულშია, ამას აგრძნობინებდა.

ღვთის ნიშანივით იდუმალმა იმ დამეტ ერთად შეგვარა.

იდგა ჩაბნელებული ტაძრის ამბიონთან მამა ანდრია და ჩვენც, სანთლების შუქზე აჩრდილებივით
მასთან ერთად ფეხმოუცვლელებს, ჩაგვესმოდა მისი მშვიდი ხმა, ლოცვას რომ შევნის: „ძლევა ჯვარითა
ბარბაროსთა ზედა ღვთივაცელსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და...“

ომი არავის ინდობს, მაგრამ უმწეოს წინაშე იგი უველაზე ვერაგია. ომისშემდგომი წლების მერეც
ჯოვანების აკრძივით მოწამლულ იმ დამეს ვერაფერს ვუხერხებ, ცრემლითაც ვერ ვალბობ.

თურმე უკვე ალყაში ვიყავით. თანდათან აუგანელი ხდებოდა ჩვენამდე მოღწეული ჩოჩქოლი,
დაჭრილთ კვნესა, ჭურვის ხმები, დაუცველობა. და ამ გნიასში მოულოდნელად რაღაც შეძახილებიც
ჩაგვესმა, გვიშველეთ, გვიშველეთო. თურმე, კომანის ინვალიდთა სახლის ხეიბრები ითხოვდნენ შველას.
მამას წინ გადაუდგა და ტყვიების წიგმაში გარეთ თვითონ გავიდა მამა ანდრია. თუ არა ღვთის სასწაული,
იმ წუთებში, როცა ტაძრის ირგვლივ სასტიკი სროლები ისევ გრძელდებოდა, მამა ანდრია ხეიბრებთან
ერთად (ოთხი იყვნენ) უკვებელი ვერ დაგვიბრუნდებოდა.

მერე უველაფერი აყირავდა, თითქოს ცა ხმელეთთან შეაჯვარესო. უკვე ტაძრის ეზოში, ზედ კარებთან
სკდებოდა ბომბები. გეგონებოდა, მთელმა ომა აქ, ღვთის სახლის „კეთილ მეომრებთან“ და სიკვდილივით
დაუნდობელ წუთებთან გადმოინაცვლა. გადარჩენაზე ფიქრი, თუნდაც, მიზერული შანსით, წარმოუდგენელი
იყო. ამ დროს უფლის სიტყვად გაისმა ტაძრში მამა ანდრიას სიტყვები: -მოქმედეთ, უნდა გაზიაროთ...

სათითოდ ჩაიბარა აღსარება და საკურთხევლიდან უკანასკნელად ბარძიმითა და ფეშუმით
გამოსულმა გვაზიარა სიკვდილმისჯილები, რომ ლირსეულად გადაგვეტანა ბოლო წუთები,
გაგვეცნობიერებინა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, სააქაოს ერთმანეთისა და უფლის სიყვარულით
გტოვებდით.

ვიდრე ტაძრის კარებთან ისტერიული ბრახუნი, დრიანცელი ატყდა, მამა ანდრიამ მამას სტიქარი
გადააცვა და იპოდიაკნად აკურთხა.

შეა საუკუნეების ველური ფსიქიკის უცხოტომელებივით მოედვნენ
ტაძარს ავტომატიზები; ნარკოტიკით ხარგამწყრალებმა ვერც უფალი და
ვერც ღვთისმშობელი იცნებს. მათ იური ანუა „აინტერესებდათ“:

- Ты ведь Юрий Ануа, абхазец, который сегодня рядом с грузинами! Не так ли?! Что
потерял на той стороне?

ვიდრე უდიერი გინებით წინ წაიგდებდნენ და მუჯლუგუნებისა და
კონდახების ცემით გაიყვანდნენ მისივე აგებული ტაძრიდან, მომხდურო
დირსეულად უპასუხა:

- მე აქ ლოცვისთვის ვდგავარ, ჩვენი გუშინდელი და ხვალინდელი
დღეების გადასარჩენად, ჩვენ-ჩვენი წილი დმერთითა და სიყვარულით ომის
დასამარცხებლად. ვლოცულობ და მჯერა, საკუთარ თავზე გამარჯვებით
გადავდგამო ერთმანეთისკენ ნაბიჯებს, შევრიგდებით...

ამდენი წელია გასული და გაწყვეტილი ქართულ-აფხაზური
ურთიერთობის გზაზე საოცარი გულწრფელობით ნათქვამი ეს სიტყვები
ნუგეშად ჩამესმის ენგურს გამოღმა დარჩენილს.



იური ანუა



07 თებერვალის შაბს სარკოზაბი

ფეხმენივითაა, როცა სიცარიელეს ტკივილით ვიცხებ და ეს მამულები მამას წაცემიდან თრიოდ საათში მამა ანდრიაც გაიყვანეს. თითქოს განსაკუთრებული აგრესია არ გამოუჩენიათ, მაგრამ, რა ვიცოდით, ტაძრის წინამდღვრის მოკვლა ამ ცოდვის შვილებს რომ პქონდათ დავალებული.

იმ დამეს და მერეც საშინელებათა ფილმის გადარჩენილი პერსონაჟებივით ერთმანეთზე სასტიკი ეპიზოდები თურმე კიდევ უნდა გადაგვეტანა. სხვადასხვა სადამსჯელო ჯგუფმა რამდენჯერმე შემოგვიგრია ტაძრის კარები, იოანე ოქროპირის ქვის სარკოფაგიც კი აყირავეს.

„ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ისინი ნუგეშცემულნი იქნებიან“, ზეპირად რომ ვიცოდი, იმ ლოცვებს ვიმეორებდი შემოსასვლელ კარებთან დაზოქილი. დედაც იქვე იდგა ანალოგეთან, ომით გაბოროტებული სამყაროს სიმარტოვეში დარჩენილი ეს ერთადერთი ადამიანი, უფალთან ერთად რწმენით რომ მავსებდა, მაძლიერებდა.

დანარჩენები, ლექსო, მისი ცოლი - სინია, შვილი - ლია და მათი ახლობელი - ლიდა, მამა ანდრიამ იმ ლამით რომ შემოხიზნა ტაძარში, სკამებზე ჩამოვსვით. ინგალიდთა სახლის ყოფილი ბინადრები ცოტათი გონებასუსტნი იყენებ, შესაბრალისები, ომიც სხვა დინამიკაში რომ წარმოედგინათ. თუმცა იმ ლამით ნალები ყველაზ ერთი ჯამიდან შევხვით.

ტაძრის სიჩუმესა და სიბნელეში კარიბჭესთან ფეხების ხმა გაისხა. ეკლესის მასიურ, დიდ კედლებს შუა მოქცეული წევდიადი თითქოს ისევ დამძიმდა, სუნთქვაც გაჭირდა. ტაძარში მოყიალეს დვინის უსიამო სუნიც თან მოჰყვა. სადღაც სატრაპეზოსთან გაჩერდა ქშენით და უცებ ასანთს გამოჰკრა; თურმე ქუდი დაუვარდა და ასაღებად დაიხარა. ასანთის შუქზე, მობარბაცე სხეულის ლანდი რომ გამოისახა, უცნობმა სკამებზე ჩამომსხდარნიც შენიშნა. წამსვე მიტრიალდა და შანდალში სანთლის ნამწვავები მოიძია. მოკიდებული სანთელი სათითაოდ მიანათა იქ მსხდომთ სახეში. ისევ დაგინახე სულით გლახაკთა უშფოთველი გამომეტყველება; ახალშემოსულის უხიაგი პროფილიც გამოკრთა, საზიზდარ დაბანჯგლულ თუ მოუვლელ თმებთან და წვერებთან ერთად.

ზედ კარებთან, დვინისმშობლის ხატოან, პატარა ნიშასავით ვიწრო ადგილას დაჩოქილი იმდენად ახლოს ვიყავი მისგან, რომ ამას მანძილიც არ ერქვა. ბახუსი რომ არა, ალბათ, ჩემი გულის ფერჭვასაც გაიგებდა მთვარეულივით მობორიალე, ავი წინათერმნობისგან, შიშისგან იატაკს მივეჭედე მუხლებით, წმინდანებს ვევედრებოდი, უკვე თოთქმის უსხეულოს ლოცვის უნარი მაინც რომ შემრჩენდა.

და უცებ უცნობმა ხრინწიანი ხმა ამოუშვა:

- Я сейчас за всех моих должен отомстить. У меня жену убили, у меня сына убили, у меня убили, убили...

შეურაცხადი ომში თავის წესებს საზღვრავს, მტრებიც საკუთარი ჰყავს. იქნებ, ოდესდაც მართლა უყვარდა, ახლა კი ასე უგულომ და უღმერთომ, უკვე გიუს ხალაში გადაცმულმა, უნდა მოკლას ლექსოც, ტყვია დაუმიზნოს სინიასაც, ლიასაც, დედაჩემსაც... ასეც მოხდა.

ტაძარში დამდგარი სისხლის მწკლარტე სუნი სიმწარედ თუ სიმჟავედ მომებჯინა საყლაპავთან და მიკირდა, გული რომ არ მერეოდა.

აგტომატის ჯერით მოკლული ლექსოს გვერდით დასახიჩრებული სინია, ერთიანად მოგლეჯილი მკლავი ძაფივით რომ დაეკიდა კანის ნაფლეთს, თავისივე სისხლის გულები სიმწრისგან დაიკლაკნა. რაღაც ბედად ლიას აცდა დამიზნებული ტყვია და როცა დედაჩემისკენაც მიბრუნდა, ავტომატი, ცარიელი მჭიდითა და ტყვიებით, მარტო გაჩხაკუნდა...

ის, რაც წამებში და ჩემს თვალწინ დატრიალდა, ქვეცნობიერში სხვა კადრებითაც შეიცვალა: ახლა



აღდგენილი კომანის ტაძარი



შემოტრიალდება ჩემსკენ, ახლა მაინც დამინახავს, დაცლილი ტყვიების ჯავრსაც ჩემზე იყრის, მომერევა, და დასრულდება შელაფერი...

თუ რამე სულისმიერი იყო ჩემში, უკვე მარტო იმ ერთ სიტყვას, ერთ დვთავებას მივანდე და ტროპარის ნაცვლად გაუჩერებდა და ვიმეორებდი: „დვთისმშობელო, დვთისმშობელო, დვთისმშობელო...“

სასწაული მართლაც მოხდა. „უკვე სიხარულთა სიხარულმა“, მუხლებმოუცვლელად ვისაც ვევედრებოდი, არ მიმატოვა, არ გაგეწირა.

მოძალადე გატრიალდა და როცა გვერდით ჩამიარა, დვთისმშობლის ხატის ჯვარცმულივით ავეკარი. რამდენიმე წუთში დაბრუნდა; უფრო კი შემოვარდა ტაბარში. ადრინდელზე მეტად აღზნებული ჩანდა, გვეძებდა. ჯერ საკურთხეველთან იტრიალა, მერე ადგილიდან კედელს მიასკდა, კუთხიდან კუთხეში გადაინაცვლა. ვერსად რომ ვერ გვნახა, ანგარიშმიუცემლად აქეთ-იქით ბარბაცს მოჰყვა. ხაბიჯარეულმა რამდენჯერმე წაიბორმიკა კიდეც. თან გაუგებრად, გინების ენაზე რაღაცას ბურტყუნქბდა, წამდაუწეს ავტომატისკენ მიპქონდა ხელი...

ვიდრე ეს ჩვენი „მაცხონებელი“ დაბრუნდებოდა, თავსაფარი მოვიხადე და სონიას გადავუჭირე ამპურებულ სხეულზე, მერე კი უკვე ამ უსაფრთხოდ მიჩნეულ იმ „ჩემს“ ადგილის, ტაძრის შესახლელთან, ვიწრო და პატარა ნიშაში გადავინაცვლეთ.

ის რომ აუცილებლად დაბრუნდებოდა, ეს ვიცოდით!

სხეულიდან მოგლეჯილ კიდურს, არაადამიანურ ტაკივილთან ერთად სონიამ თითქოს ხმის უკველაზე სუსტი იოგებიც თან გააყოლა, რომ არ დაეკენესა, არ გაეცა თავი; არავინ იცის, რად დაუჯდა მას გაჩუმება, სიცოცხლისთვის გაბრძოლება, ჩვენი გადარჩენაც, ტაკივილზე მეტად სიტუაციური შოკის გაუსაძლისობა. ერთმანეთზე მიკრულებს, თითქმის ერთ სხეულად ქცეულებს, საკუთარი სუნთქვაც გვაფრთხობდა. უმწეო ლია ისე მაგრად მყავდა მკერდში მიხურებული, საკუთარ თავზე მეტად სხვა რომ გებრალება; რამდენიმე წუთის წინ ომმა მამა მოუკლა, დედაც დაუსახირა, თვითონ კი იმ პატარა ბავშვივითაა, ასე გაუცხობიერებელ ომში სმაური რომ აფრთხობს მხოლოდ. ზარივით ჩამესმოდა მისი შესაბრალისი მუდარა, „მეშინია“, „მეშინია“. მხოლოდ ეს მოვასწარი: ნუ გეშინია, ჩემო კარგო, მხოლოდ ერთი გასროლით დამთავრდება უკველაფერი; არც არაფერი გვეტკინება; მეც შენთანა ვარ, შენს გვერდით, არ მიგატოვებ...

და მოხდა ენით აუწერელი სასწაული: მკვლელი ბოლომდე დატენილი ავტომატით, უკვე ჩვენს პირდაპირ დადგა. ახლაც არ ვიცი, რა ფარდა, რა საფარველი ჩამოიბურა ჩვენს შორის. ჩვენგან ნაბიჯით დაშორებულმა ჩვენ ვერ დაგინახა.

ავტომატის გადატენვის ხმაშ გამომაფხიზლა და საზარელზე მეტად ომის იშვიათი კადრი დატრიალდა:

სკამზე თავჩაქინდრული, მკვდარი ლექსოს პირდაპირ დადგა და ვიდრე ბოლომდე არ დაცალა მჭიდრი, ვიდრე ტყვიაგამტარი უსულო სხეული ერთიანად არ დაიფლითა, სროლა არ შეწყვიტა.

ეშმაკის გზიდან მოსული მკვდრის მკვლელი რა გზით ბრუნდება, მარტო ეშმაკმა იცის.

P.S. მეჩე ღაინც 52-ელიანი პატიმჩობა და ბერძოლა გენეტიკური მესსიერებით ამოცხეურ სამყაროსთან.

მაგანამ უნდა ეცოცხდათ და ხსომებოდათ, რომ ნაგებები ომსა და მათ ცხოვებაში იმავალი მჭიდრობა უნდა გადაისახოვთ.

სინამდვირისთვის სხელია ნამოუღენერი იმერივით.

გამოჩენენ ღაური ზება, ხაფიკ აიბა, ბათაც ტახნავა...

«ხოდესაც განსაცელო ღაბატყება თავს და მცენი მოინახესავით მოგადება, მე მინდა, იყოდე, რომ ეს ჩემაგან იყო; ჩემი მახაგი უღევია. შენი უძლებება ჩემს ძალას ითხოვს და ესაფრთხოება შენი მეგომახეობს იმაში, რომ მომცე საშეაცება, ვიბერი შენთვის. მე მინდა, უკეცაფერი ჩემთან მოგენერეს შენს ცოცვაში...»

გასური საუკენის 30-იანი ნების ექი-ექით მოვეც-მონაზვნის ამ შეგონებითა და ჩემენით ვამთავებთ ამჯეხად თხობდას.

ყიდან მინაზე გამომოწერი ამბავივით უჩვეულო, ანებისთვის საბერისწერო კომანის გზა მივა ტაძარე, იქამე, საღაც უფრის თვალი უჩიაცებს.



ზოია და იური ანუები



კომანის ტაძრის საბურთხეველთან



602A ბოგონიძე

ქართულ-ძმერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლემ ნივა ბობოხიძემ თავის მცირე მოკულობის თხზულებებს სასარქვას „ხელები“ და „თვალები“ და ამით სათაურისა გამოვლენას თემის ორიგინალობა.

როცა უკვე ეცნობი ნახერსაც, პირველივე სფრიქონებისან ჭობიციური შთაბეჭდილებებით იმუსფები. ახალგაზრდა ავყორის ფრთხა ცაკონური და უკვლის, რაც სათქმელს ემოციურობას და სატექნიკურო განვითარებს.

შემოქმედებითი ზრდისთვის მნიშვნელოვანია ძიების პროცესი, რაც იგრძნობა ნივას სფრიქონებში.

კეთილდღიური და უკვლის მდგრადი დაგენერიკული „იაღებნში“.

ბიუზი

602A ბოგონიძე. 15 წლის სოხუმი



ხელებს, ხომლებსაც ას შევხებივათ, ხელებს, ხომლებსაც აჩა კი ვიცნობთ, მაინც ვენობით. ჩვენ ვეყენობით ხელებს, ვეჭიღებით ხელებს, ვინვებით ხელებს, ალვაპური ხელებს და ასე ბორომეო.

ხელები, ხელები, ხელები...

ათასნაინი, ღიღი და პატარა, წაწვეულებულითოებიანი, ანდა კოტიკა. სულექითია, ეს ალმაჲთელი ხელების ტყეა.

მათ იყიან ტაშის ღავარია და სიღის განვითარება. ისინი აჩიან ერთგულია და მოლაცატენის.

ხელები, ხელები, ხელები...

ძრიები, სუსტი, მოკანკარენი, მტკიცენი - ათასნაინი, ზესტარ ისეთები, ხოგონების სინამდვირეში აჩიან მათი პატარინები.

ხელები ას გატყუებენ, ეს მათი მესაკუთხენი იყუუბიან.

ხელებს, ხომლებსაც ას შევხებივათ, მაინც ვენობით, ჩაღან ისინი უნდობელიას ას იმსახურებენ!

თვალები

ღაილარენ თვალები, მაჲთღაც ღაილარენ. ისინი აჩამაჲო ხელავენ ღასანახს, ოქნებობენ და უყვათ კიღეს. თვალები გაძნობენ, თვალები ხელების ნაცვლად გაღში იქავენ. თვალები მაშინაც კოსნიან, ხოლა ფეხები უმოქმედოდა, ხოლა უმოქმედო ხელები ღავიღებია სხეულზე, ხოლა ბაგე ღემს.

ღაილარენ თვალები, მაჲთღაც ღაილარენ.

ამბობენ, თვალები სამყაროს ანახევილია. ღაღეჟი თვალების პირის მასშობელი, ას მოსშობო მზეჸა და ყველაფეხს იქ ამოიკითხავ, ამოიცნობ: უკივიდს, მისისხანებას, სიყვარეს, სუჰვილს, უაჲყოფას, უთქმელობას.

თვალები „ჯაშეშები“ აჩიან; უფრო ზესტარ, ჩვენი მამებიღებები. ჩისი თქმას გვსუბა, ან ჩის გამხედასაც ვეხიღებით, თვალები ყველაფეხს გაამჟღავნებენ. თუ საწებას სიყვებით ვეჲ ამოვთქვამთ, თვალები ამას შესანიშნავად მოაგვახებენ.

თვალებს ვეხსად ღაემაღები, მზეჸას ვეჲ გაექსევი.

თვალებში უკივიდის ისეთი სიღრმით მოჩანს, ხომ ძნელია, გაუძრო მის მზეჸას.

ყავისფერი, მწვანე, ყისფერი, შავი, თაფლისფერი და ა.შ. - 7 მიღიახეზე მეტი თვალია და ყველანი სხვადასხვას ხელავენ.

ღაბაღებიღან, იმ პირველი აუზებიღან, ზოგიერთის თვალები მაჲო მზეს ხელავენ, ვილაც-ვილაცების თვალები კი - მხოლოდ ესიამოს.



მაინც ჩაღ უნდა აღამიანს თვალები? მხოლოდ მისისთვის, ხომ ღაილანას?

ასა, თვალები მხოლოდ ამისთვის ხომ ყოფილი განკუთვნილი, მათ ახერას ფასი ას ექნებოდა.

აღამიანი თვალების გახეშე - ეს იგივეა, ხაც აღამიანი- ხომუკი, გაძნობებისგან ღავიღილ კოლოფი.

თვალები - ეს პირვენებაა, ხასიათია, კუთილი ან ბორცუმი სამყაროს.

თვალები - სუსტი საჩერა.





„სლუიტი“ წარვითხო „იორდა“ ლასესნერი რომ სრ სრის, ეს მძრვივი ჭეშმარიტებს.

მინისტრს მ „ბებო“, რომელსაც ეურნაღი წარმოგილგენთ, საინცერესო ხელწერის დაფინანსები აღმოგვარენის.

სხვა უკან მოცემულ გრძელების სიცემას და თანხმიბიმურული, ძალის, გარი თხოვნის მარტივი უსაყვარესი სურათის მიკონსტანტი ყოფნის სახის.

კურსონაების - ნაწყვილი ბეჭოს - მხატვრული სახესთან ერთად იკვეთება ავტორის პორტრეტი, რაც სთავაზე ბუნებრივად კრავს, ნაწარმოები კი საჭირო საცვლირთვას იძებს.

ის მგაღობელიშვილი თბილისის 173-ე სკოლის მოსწავლე.



05 მგალობლივი

၁၃၆

ՕՏ ՑԱՀԱԼՈՒԹԵՐՈՅՑ ՅՈՒՆԻՑԻ 15 ՎԼՈՒ. ՍՐԿԵՑՑՈ

მაგრამ ყველაზე მეტად, ჩას გამოსახულს, ეს წაბლშეკუთი, ღაბლვებით გამომეუყვედბაა (და ას გამოხედვა). ეს - ეხოთ შეხედვით; სინამდვილეში კი (ამას გვიან მივხვდი) - ღიღებანს კი ას, ფიქრებს ყველაზე შოშს მიჰყვება, სოსტო თიქიებს.

ჩემი ბებო, ჩემი ნანური ბებო!

ზამთაშში ყველაზე ხშირად გამატობელთან ზის. თავზე ასეთი მნვანე ან თეთრი ფერის ქედი, ხმელის ყოველთვის ეთინასია ეხდება. აცვია ჭიერა-ჭიერა, ნაქსოვი ქვედაბოლოები ღა ძალან პატარა - 35 ზომის ფლოსტები (გინახავთ ასეთი პატარა ფეხი?). აქვს ღამაზი მოყვანილობის უჩერები. მისი ეჰთავებთ განსხვავები მიმიკაა - ვითომ შეუმჩნეველი ჩალიმილება. უჩერებს ყბილებს შორის მოაქცევს, ესთ ლემად ამონისუნოთქავს ღა შემღებ თითქოს ამ "მოპარები" ლიმილით თავს აუკირებდა ღაგამახსოვრებინებს.

ბებო ძალიან ემოციური და ენეგიურია. მისი სწოვება, აღბათ, წარმოედგენილი იქნებოდა ჟალევიზმისა (თითქმის ყველა ახსე უყენებს) და პოლიტიკური გადაცემების გაჩეშე, ტელეფონის მიღისა და (მობილური უკაშს, ოლონი ხანგარხან), სა თქმა უნდა, ბაზის გაჩეშე. მისთვის ბაზაში წასვა, მგრინი, იგივეა, ჩაკ შოპინგზე მხიახელად გაჭახებული იქმ. მაგრამ ბაზის მედამ უკამაყოფილობ ბუზლუნ-ბუზლუნით ბენენდა. ნინა ღლებთან შეღაებით პროცესუალის ფასები კაცებობისად და ყოველთვის მიეღებულია მისთვის.

ბებო ბუნებით მაინც "კიოჭისხსია" და, აღბათ, ამით ვგავახოთ ეხომანეთს. ეხომანეთსაც ამიტომ ვეგებთ ყველაზე მეტად.

ჩემთვის მისი ყოველი უძრავი მოვალეობა (უფრო ზესტად, უმველი გათენება) ჩეცინაა, ბებოსთვის კი - ჩიტარია. ყველაზე აღე ღბება, ღოგინს მიაკობტავებს, თავსაკა აუსიღებდა მოინესხიგებს, ჩემმას სჩვევია, ღა კაშის მეზობელთან მიირს ყავის ღასაღვარ.

Ո՞ և մեր ո՞ւ ո՞ւ

კულინარიიდან ღამებული და "თეთხო სახლის უფროსამდე" (ბებოს იქმნიული შეფასებით) - თბამამდე, ღამთავებული. ბებოს იქან "პატარი" მიჰყავს!

პერიოდულად მიკვებით ბებოს გამომცვანი საჭაპეული ნებისმიერი საჭმელი მიჩნევინა. სამეცნიერო სუჟექტებს (ამძღვანი ფანტასტიური გემო აქვს), ყოველ ჯერზე საკუთახ თავს აჩნევნებს (და ჩვენს უნდა, ამაში ღამისაჩნევოს), ხომ მისი მსგავსი shsbsghmbs გამოსვლია.

հմցա პայման վոյսազո, մաեսոցք, ծուրմելյ, ծուրմելյ գաշմուռո ხյութս, հմթ մոհուցան գամովկյայլուրազո և մագիստ ჩաշեյլութուրո.

თბილად ჩამოქავედა მექედი. ღა უკვე იმაზე ვფიქრობი, ისევ ხორც
გავშრიო მყავავებს, ხორცს გავიქცეოთ, ასე ხორცს მომეტებებორნენ.

ბებომ ახალის ჰგავს და ძარის მოყვანას. იშვიათად ახალ მისნაინები, ისიც უთარებელია რა ჩემია, ჩემია საკუთრის.



ნაცილი გებოს დამსახურებული გედალი

Р.С. ხათუნა მამიდა ია ქუსო ბიძის მოსკოვში ცხოვნილები. ბებოს ქუსო ქვეყანას უჩჩევნია, მოფეხებითაც "გეხას" ეძახის (მეგხედა - გულიანი). ამ ყოფა ხნის ნინათ ქუსო ბიძიამ ჩემი ნანელი ბებო მეღილით "ლიტიმი თეშე" * "ღავახიროვანი". ჩამას ძარის გაგვახარისა.

* - საყვარელ სიდედრს (რუს.)



უცნაურია ბუნების კანონი: მისთანა მშობელი არ მოიპოვება დედამიწის ზურგზე, რომ ნაშობი არ უყვარდეს. რაგინდ სამაგალითოც იყოს მისი ნაშობი, სურვილი მაინც მეტსა ანდომობს და უნდა, რომ კიდევ უკეთესი იყოს! აგრევე, რაგინდ გაფუჭებულსა ჰქედავდეს დედა შვილს, მაინც კიდევ იმედს არ ჰკარგავს, ეგებაო, გამობრუნდეს, გასწორდესო.

ამ გვარივეა მამულიშვილის გრძნობაც სამშობლოსადმი. ერთისა და იმავე მიწის შვილი, საერთო სამშობლოს მექონი, ბევრგან ლომიც არის და ჭიანჭველაც!!

ჭიანჭველად მიმაჩნია ჩემი თავი ჩემს სამშობლოში, მაგრამ იმასაც კი ვგრძნობ, რომ მთელი ჩემი ჭიანჭველური ძალ-ღონითა და სურვილით მას ვეკუთვნი; ისე, როგორც სხვა ყოველი მამულიშვილი, გინდ ის ლომ-კაციც იყოს. და მიტომაც ეს ჩემი უპირფერო, უბოლიშო შეგნება ნებას მაძლევს, რომ ჩვენი ქვეყნის ავ-კარგიანობის შესახებ ჩემი პატარა გრძნობა-გონება გამოვაქვეყნო და გულში არ ჩავიკლა უხმოთ!..

ხე ხომ არა ვარ? მაგრამ რას ვამბობ? განა ხე კი ყოველთვის უმნიშვნელოა? აი, ახლაც! ბუხარში შევდევი ჯირკვი, ცეცხლი მოჰკიდებია, მოდებია ალი და ჩემს თვალწინიშვის გუზგუზხით!.. საიდან მოუტანიათ?!.. სამშობლოდან! მისი სამშობლო არის ტყე.

რა ლამაზათ იწვის?! გარს მოდებული ალი პრიალებს და თანაც დუდუნებს, თითქოს რაღაცას ჩივის... ვიღაცას ესაყველურებაო!..

აენთე, აენთე, უსულო საგანო!.. მარტო შენ არ იწვი!.. უკელას თავთავის ცეცხლი უკიდია... და მეც შენი დღე მადგას, სამშობლოს გამათვალისწინებელს!..

მისი „წარსული“, „აწმყო“ და „მომავალი“, ე.ი. სიტკბო, სიმწარე და ოცნება, ერთად არეული, გულს ეჭიდებიან და მწვავობით ამოკლებენ დღეგრძელობას!.. როდის და სად მოვიპოვო მშვიდობა?

ისე, საფუტკრის წინაც გერ გამივლია, რომ ჩემი მამა-პაპები და მათი გადასული დრო არ მელანდებოდეს გულსაკლავად. ჯერ კიდევ ბევრი საუკუნეები გაირბენენ, სანამ კაცობრიობა ამ ფუტკრების გზას დაადგებოდეს, მათგან მიიღებდეს ცხოვრების წესეს!..

სცხოვრობენ თავისთვის ამ პატარა სკაში წმინდათ და უბიწოთ!.. ღმერთს მათოვის სარჩო-საბადი აქვე ახლოს, სამშობლოში მიუცია. შრომობენ, იღწვიან ერთი-მეორის დახმარებით, აკეთებენ თაფლ-სანთელს, სდებენ საერთო ტრაპეზზე, თვითონაც რჩებიან და ცა და ქვეყანასაც სამსახურს უწევენ! სხვისი არა უნდათ რა! არავის რასმე სტაცებენ.

მაგრამ ხარბი და გაუმაძლარი სოფელი, პირიქით, არ ასვენებს ამ კეთილ მუშაკებს: ათასი მტრები, ათო-ათასი ონავრები გარს ეხვევიან და იძულებულს ხდიან, მოსაგერებლად მათაც ფარ-ხმალი ააღებიონ. ესენიც იბრძვიან ძალა უნებურათ და ხშირათ ბრძოლის ველზე უტევებენ სულს!..

მაგრამ მაშინაც ერთი რომ კვდება, იმ თავდადებით ათსა და ასე გადარჩენს ხოლმე, რომ საფუტკრე მაინც არ დაიმხოს!.. ბევრი დრო ეკარგებათ მტრების მოერებაში და უმეტესად ძლივსდა ასწრებენ, რომ სარჩო მოიმზადონ.



აკაპი შერეტელი
ვაჟიშვილთან ერთად



მაგრამ მაგიერად, როცა კი ბედნიერი წლები გამოერევათ
ხოლმე და მტრებს ვედარსად ხედვენ, მაშინ კი ხვავიანია ცა
და ქვეყნის სანაწილოც, მათი ნაშრომ-ნაღვაწი!

სწორეთ ამ გვარათვე იყვნენ ჩვენი წინაპრებიც:
სცხოვრობდენ თავისთვის ცისა და ქვეყნის პირნათელ
მოსამსახურედ!..

და როდესაც კი, ათასში ერთხელ, მათ ქორონიკოსში,
ფუტკრებისა არ იყოს, მშვიდობიანობის ხანა დაუდგებოდათ
ხოლმე, იმათაც ხალისით შეჰქონდათ მსოფლიო საგანძურში
თავისი დვაწლი და სიმდაბლით სდებდენ მცირე წვლილს
საერთო ტრაპეზზე...

აბა, დაეკითხეთ ფუტკარს, თუ გასცვლის თავის უნებურ
მოუსვენრობას ხარაბუზა ნეხვის ჭიის ნებიერ მოსვენებაში?

მართალია, ჩვენ მამა-პაპებშიაც გამოერეოდნენ ხოლმე უკუდმართები, მაგრამ ეს ხომ
მსოფლიო კანონია? ვარდი უეკლოთ ვის გაუგონია?

თორმეტ მოციქულში იუდაც გამოერია, მაგრამ მით ქრისტიანობას წუნი არ
დასდებია!.. ჩვენ წარსულში, სადაც კი თითო-ოროლა მოდალატე გაჩნდებოდა, იქ, იმავე
დროს, ასი და ათასი მამულისათვის თავდადებული მზათ იყო და მით საზოგადო
ცხოვრების მიმდინარეობას ბევრი არა აკლდებოდა რა!..

განა აქაც, ფუტკრებშიაც კი არ გამოერევა ხოლმე სნეული და გაფუჭებული?
ხშირათ, ძალიან ხშირათ. მაგრამ ის სხვებს, მარჯვე მუშა ფუტკრებს გააქვთ გარეთ და
გადააგდებენ ხოლმე!.. საფუტკრე მაინც წმინდათ რჩება.

არა! ტყუილად არ მიყვარს მე ჩვენი წარსული!.. მიყვარს ისე, როგორც დედას კარგი
შვილი და მიტომაც გულ-გაუმაძღარს, მსურს, რომ ის გადატანილი ვნახო მომავალში,
დრო და ვითარების შეხამებით, კიდევ უფრო ძლიერათ და ბედნიერათ...

„გაქრა! წაგიდა! გახმა! დაგვანახვე, სად არის მაგის ხანგრძლივობის ნიშან-წყალიო?“
- კიუინასა სცემენ ზოგიერთები!

მაგრამ გული მაინც საგულეზედ არის, არა ფრთხის!.. მართალია, ზედაპირს აღარ
ეტყობა სიცოცხლე!.. უზომოთ გადაწეულ-გადმოწეული ტოტები გამხმარა, მაგრამ საქმე
ძირია!..

ის ჯერ ისევ ძლიერია და მისი ფესვები აქეთ-იქით დრმათ გამდგარია, მისვე
აღმოცენებულ ნიადაგში! მზად არის, ხელახლა ამოიყაროს! საჭიროა მხოლოთ, რომ ზედ
„მომავალი“ ახალ ნამყნათ დაირგოს! და ჩვენც ჩვენი „აწმუო“ უნდა გზათ და ხიდათ
გავიდგათ ამ ორთა შუა.

ვინ უნდა იკისროს ეს ხელობა? სად არის მებადე? ვინ არიან ხუროთ-მოძღვრები?..
ვინ და ინტელიგენცია, ახალ-თაობათ წოდებული. ამათ ხელშია დღევანდელი ჩვენი
ქვეყნის ავ-კარგი.



კადრი როდენდოს ფილმიდან -
„აკაპი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩეუმში“



აკაპი წერეთლი

აგერ, ნახევარ საუკუნეს აღარ აკლია
რა, რომ მე მაგათ მოქმედებას, მაგათ ავსა და
კარგს, მაგათ კეთილ-ბოროტს თვალ-ყურს
ვადევნებ...

შემინიშნავს ბევრი მათგანის
უკუდმართობა და მიტომაც არის, რომ მე
დღევანდელი ინტელიგენციის უმეტესობა
მძულს, ისე, როგორც დედას გარეწარი
შვილი... მძულს, მაგრამ, იმავე დროს, მაინც
მიყვარს, კავშირი ვედარ გამიწყვეტია მათთან
და მათზე ფიქრი წმინდა მოვალეობათ
მიმაჩნია!..



ნიკოლო ქაგანინი

(1782-1840)



"ამქვეყნად მეოხე პაგანინი ას ღაიბაება".
ფეხუნც ცისცი

ვიოლინო XVI ს.-ში დაიბადა. მის პოპულარიზაციაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ვიოლინოს გენიალურმა იტალიელმა ოსტატებმა. მათ შორის, ქ. ქრემინაში მოღვაწე ნიკოლო ამაგრიმ მუსიკის ისტორიაში ორი უკელაზე ცნობილი ვიოლინოს ოსტატი აღზარდა: სტრადივარიუსი და გვარნერი.

ვიოლინოს შესაძლებლობები სრულად პირველად იტალიელმა კომპოზიტორებმა წარმოაჩინეს; განსაკუთრებით, ვივალდიმ.

XVIII ს.-ში იტალიის ქალაქ გრიფაში უგელა დროის უდიდესი მეგიოლინი კი – ნიკოლო პაგანინი დაიბადა. ის არა მარტო შემსრულებელი იყო, შექმნა კიდევ უკვდავი ნაწარმოებები. ფლობდა ამატის, სტრადივარიუსისა და გვარნერის ვიოლინების უმდიდრეს კოლექციას.

გენიალური შემოქმედის ასე დაუჯერებელ ვირტუოზულობას ეშმაკეულად მიიჩნევდნენ და ამის გამო მას „დემონიც“ კი შეარქევეს.

შავი კაცის შესახევი

გენუის განახლებულ კვარტალთა მახლობლად ჯერ ისევ შემორჩენილია მთის ფერდობზე შეფენილი ძველი ნაგებობანი. ერთ-ერთ პატარა ქუჩას მივყავართ შუკისკენ, რომელსაც შავი კატის შესახვევს უწოდებენ. 38-ით დანომრილი სახლის მარმარილოს დაფაზე ვათხეულობთ:

„ამ უბრალო სახლს ბედნიერება ხვდა წილად – აქ 1782 წლის 27 ოქტომბერს სამყაროს გასახარად დაიბადა გენუის სიამაყე – ნიკოლო პაგანინი – დვორულ პანგრა ხელოვნების უბადლო ოსტატი“.

ეს იყო გენიოსი, რომელსაც ერთ სიმზეც შეეძლო, უბადლოდ შეესრულებინა ნებისმიერი სირთულის ნაწარმოები. იმპერატორ ნაპოლეონის დაბადების დღეს მისი დაწერილი სონატა „ნაპოლეონი“ სწორედ ერთი სიმისთვის შეიქმნა.

პაგანინის 24 კაპრიჩიმა* განსაკუთრებული გავლენა იქონია უდიდესი კომპოზიტორების – ბრამსის, რახმანინოვისა და ლისტის მუსიკაზე.

მანულინის სიმებით

ნიკოლო პაგანინი იყო ნაგებადეურის ყოფილი მტვირთავის, მერე წვრილმანით ფეხზე მოვაჭრის – ანტონიო პაგანინისა და მდაბიო ქალაქელი ქალის – ტერეზა ბოჩარდოს ხუთშვილიან ოჯახში მეორე შვილი.

ანტონიო პაგანინი ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც თვლიან, რომ მათი კარიერა არ შედგა. ის ვაჭრობაზე კი არა, მუსიკოსობაზე ოცნებობდა. ძალიან უყვარდა დაკვრა და სიამოვნებით აუდარუნებდა მანდოლინასა და ვიოლინოს. ქუჩის აუდიტორია ყოველთვის მხეურვალე ტაშითა და ორიოდე გროშით აჯილდოებდა მოყვარულ მუსიკის.

ბედით უკავიოფილო და ჭირვეული ანტონიოსგან განსხვავებით, მისი მეუღლე - ტერეზა ბოჩარდო ნაზი და მორჩილი ქალბატონი იყო.

ტერეზასაც ძალიან უყვარდა მუსიკა და იმასაც ამჩნევდა, მათი პატარა ბიჭუნა როგორი მოჯადოებული უშმენდა ხელმე ეკლესიის ზარების რეგას, მანდოლინაზე ჟღარუნს.

ოთხი წლის ყოფილა ნიკოლო, შენიშვნა რომ მიუცია მამამისისთვის, მანდოლინაზე შეცდომით უკრავო.

მართალია, მუსიკოსობა არ მეღირსა, მაგრამ, იქნებ, ჩემს ბიჭს მაინც გაუმართლოსო, იტყოდა ანტონიო. ასე გახდა ის შვილის პირველი მასწავლებელი; ხელში ჯერ მანდოლინა დააჭერინა, მერე კი – პატარა ვიოლინოზე დაკვრაც ასწავლა. იმ დღიდან პატარა ნიკოლოს ერთადერთი სათამაშო და თავშესაქცევი უკვე ვიოლინო იყო.

მერე და მერე უკვე სათობით მეცადინეობდა. ერთსა და იმავე საგარჯოშოს დაუსრულებლად იმეორებდა. ბიჭი იღლებოდა, მაგრამ მამას იგი არ ებრალებოდა. ხშირად ოთახში გამოკეტილიც კი ჰყავდა,



შავი კატის შესახვევი.



ცემასაც არ ერიდებოდა. დაჲყავდა ეკლესიებში, აკვრევინებდა პატარა საკონცერტო სცენაზე, რომ ოჯახში პურის ფული შეეტანა.

„მამაჩემზე მკაცრი ადამიანი, ალბათ, მეორე არ დადიოდა დედამიწის ზურგზე. დასჯის მიზნით ხანდახან უსაღილოდაც მტოვებდა. მაშინდელმა ფიზიკურმა ტანჯვამ დადი დაასვა ჩემს ჯანმრთელობას“, - ნიკოლო უოველთვის სევდიანად იგონებდა ბავშვობას.

ნიკოლოს ჩირველი ქულაგოგები

ანტონიო მიხედა, რომ შვილს ბევრს ვერაფერს ასწავლიდა და გადაწყვიტა, მასწავლებლისთვის მიებარებინა. ასე გახდა გენუაში გამორჩეული მევიოლინე – ჯოვანი ჩერვეტო ნიკოლოს პირველი პედაგოგი.

მოკლე ხანში ნიკოლოს წარმატება გასცდა შავი კატის შესახევეს. პატარა ნიკოლო არამარტო უპრავდა, თხზავდა კიდეც. უკვე ამ დროს (9 წლის ასაკში) მან შექმნა არაერთი როველი მუსიკალური ნაწარმოები (მათ შორის, სავიოლინო სონატა). სამწუხაროდ, მისმა პირველმა ნაწარმოებებმა ჩვენამდე ერთ მოაღწია.

ერთ-ერთ წირვაზე, სადაც უპრავდა ნიკოლო, მისით მოხიბლულმა გენუელმა კომპოზიტორმა – ფრანჩესკო ნიელომ ურჩია ანტონიოს, მიევგანათ იგი სამეცადინოდ ცნობილ დირიჟორთან – ჯაკომო კასტასთან.

მამა ასეც მოიქცა.

1794 წლის 31 მაისს გენუის გაზეთი „ავიზი“ წერდა:

„ორშაბათს, 26 მაისს, სან-ფილიპო ნერიის ეკლესიაში შესრულდა მუსიკის ცნობილი მასწავლებლის – ჯაკომო კასტას მოსწავლის – 11 წლის ნორჩი ხელოვანის – სინიორ პაგანინის კონცერტი, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა“. საინტერესოა, რომ გენუელ ყმას მოსვენებას არ აძლევდა სახელის მოხვეჭის უნი. გრძნობდა, რომ მასში იღვიძებდა მდიდარი მუსიკალური სამყარო.

„დლიერად უნდა განიცადო, რომ სხვასაც განაცდევინო“, - იტყვის ერთხელ პაგანინი და ეს სიტყვები, მისივე ნაწარმოებების დარად, დარჩება ისტორიას.



ვ. პერსატინი - „ნიკოლო პაგანინი“. 1830 წ.

ზიღლოლ - „გვარნერის ვიოლინო“

1795 წელს გენუელმა არისტოკრატმა და მელომანმა – ჯან ნეგრომ საკუთარი ინიციატივითა და ფინანსებით (მომავალში ის მაესტროს მეცენატი გახდა) მამა-შვილი პაგანინები ჩაიყვანა ფლორენციაში.

პატარა მევიოლინემ აქ ჩაატარა რამდენიმე კონცერტი და ქ. პარმაში გასამგზავრებლად საჭირო თანხაც შეაგროვა.

ამ ქალაქში ნიკოლო სტუმრად მიიყვანეს პარმის საქერცოგოს ორქესტრის დირიჟორთან, კომპოზიტორთან და ცნობილ მევიოლინესთან – ალესანდრო როლასთან.

ოთახში ნიკოლომ თვალი მოპრა ვიოლინოსა და ნოტებს, როლას მიერ წინა დღეს დაწერილ კონცერტს. ნიკოლომ მისთვის სრულიად უცნობი ნაწარმოების დაკვრა იქვე დაიწყო.

შეუძლოდ მყიფი კომპოზიტორი გააოცა მეზობელი ოთახიდან მოსმენილმა მუსიკის პანგებმა; და როდესაც ოთახში 13 წლის ბიჭუნა დახვდა, აღტაცებულმა წამოიძახა:

- დავთის გულისათვის, ბიჭიკო, მე ვერაფერს გასწავლი, შენ აქ ჩემთან დროს ტყუილად დაკარგავ! პარმაში ნორჩი მევიოლინე მიაბარეს მხცოვან ნებამოლელ მუსიკის – გასპარე გირეტის. შინაგანი სტენის უნარი რომ განევითარებინა, მაესტრო აიძულებდა ყვაწვილს, ინსტრუმენტის გარეშე შექმნა მუსიკალური ნაწარმოებები.

რამდენიმე თვეში ბიჭუნამ შექმნა თავისი ცნობილი 24 ოთხხანი ფუგა, ორი სავიოლინო კონცერტი ორქესტრისთვის, არაერთი პიესა და ვარიაცია ვიოლინოსთვის.

1797 წელს ახალგაზრდა მუსიკოსმა დიდი წარმატებით ჩაატარა პირველი საკონცერტო ტურნე იტალიის ქალაქებში – ფლორენციაში, პიზაში, ლოკორნოში, ბოლონიასა და მილანში.

სწორედ ამ დროს შექმნა პაგანინიმ თავისი ცნობილი კაპრიის ვიოლინოსთვის, მაშინ გადასცეს მას საჩუქრად პირველი „გვარნერის ვიოლინოც“.





ბანიოსები ბავშვობაში



აქტილე - ააგანინის უკილი

გარეგნულადც ართორლინალური პაგანინი

„ეს ის ვირტუოზია, ვინც ვიოლინოზე გამოსცემს ჩიტების ჭიქიყს, ფლეიტის, ბუკის, ნაღარის ხმებს; მსგავსი რამ ჯერ არ გამოინაა“, - წერდა ერთ-ერთი გაზეთი მის ბავშვობაში.

1796 წლით დათარიღებულ პორტრეტზეც, რომელზედაც 15 წლის ლამაზი ყმაწვილია აღბეჭდილი, იმთავითვე იგრძნობა ბობოქარი ბუნება; ამასთან, უკიდურესმა სიდარიბებმ, ბავშვობაში გადატანილმა როულმა ავადმყოფობებმა, ოჯახში შექმნილმა არაჯანსაღმა ფსიქოკლიმატმა მძიმე დადი დასვა მის ორგანიზმს, ჯანმრთელობას: გაუჩნდა ნააღრევი ნაოჭები; დაჩემდა ნერვული მიხრა-მოხრა, მოძრაობები; ტანჯავდა კონვულსიური* შეტევებიც; ისედაც ფერმკრთალ სახეზე კიდევ უფრო გამოეკვეთა ჩავარდნილი ლოფები; არწივისებურმა ცხვირის კონტურმა მკვეთრი მოხაზულობა მიიღო; ფართხუნა ყურები ხევულმა და აწეწილმა თმებმაც გერ დამალა; ჩონჩხადქცეულ სხეულზე ტანსაცმელი უფრო ეკიდა, ვიდრე ეცვა.

ინსტრუმენტზე ყოველდღიურმა ვარჯიშმა ისედაც სუსტი ტანი მეტად დაუმახინჯა; მარცხენა მკრდი მარჯვენაზე უფრო გაუგანიერდა, მარცხენა ხელიც დაუგრძელდა.

უმახვილესი სმენით დაჯილდოებულ პაგანინის მარცხენა ყური, ვიოლინოსთან სიახლოვის გამო, მარჯვენაზე ბევრად მახინჯი ჰქონდა. და თუ ვინმე გვერდით სმამადლა დაილაპარაკებდა, გაფაქიზებული აპკი უმალ ეტენიებოდა.

უკვე საქვეწოდ აღიარებული მაესტრო, რომელიც დღეში 12 საათსაც კი მეცადინეობდა, იტყვის კიდევ: „ამ პატარა ხის ინსტრუმენტმა მე ძალა გამომაცალა“.

ყველაზე ძლიერი სიყვარული ლა...

გენიალური მუსიკოსის პირველი და ყველაზე ძლიერი სიყვარული უკავშირდება დიდგვაროვან ბანოვანს, ვისი ვინაობაც მან სიცოცხლის ბოლომდე საიდუმლოდ დატოვა. ეს იყო ქ. ტოსკანაში, 20 წლის ასაკში. შეუგარებულმა ჭაბუქმა გიტარაც მაშინ აიღო პირველად ხელში და მაშინ დაწერა 12 სონატა ვიოლინოსა და გიტარისათვის.

მოგვიანებით ნიკოლო პაგანინს რომანი ჰქონდა ელიზა ბონაპარტესთან, ნაპოლეონის უფროს დასთან. მუსიკოსს მან „სამეფო კარის ვირტუოზის“ ტიტული მიანიჭა.

ელიზაზე გული მაღვე აიცრევა და ნაპოლეონის ოჯახის მეორე წევრის, იმპერატორის საყვარელი დის – ულამაზესი პაოლინას, ნაადრევად დაქვრივებული ქალბატონის თაყვანისმცემელი გახდა.

უმშვენიერესი პაოლინა იტალიელთა კერპად იქცა და მას მოფერებით „წითელი ვარდი“ უწოდეს.

1840 წლის 18 მაისს, ორშაბათს, სიკვდილის დღეს, ნიკოლოს ქადალდზე აკანკალებული ხელით მიუწერია რამდენიმე ძნელად გასარჩევი სიტყვა, საიდანაც მხოლოდ ზოგიერთი იკითხება:

„დამასკას ვარდები... წითელი ვარდები... ხასხასა წითელი... ვიგონებ დამასკას...“

სიცოცხლის იმ უკანასკნელ წუთებშიც თვალწინ ულამაზესი პაოლინას სახება ედგა.



მაინც როგორი იყო პაგანინი?

მთელი ცხოვრება პაგანინს არ დაუმალავს თავისი ღარიბული ჩამომავლობა; ბოლომდე ნაზად უყვარდა დები, და განსაკუთრებით, დედა.

„ძვირფასო დედა, ყოველთვის მზად ვარ, შევასრულო ნებისმიერი თქვენი სურვილი. მხოლოდ მინდა, ბედნიერად მეგულებოდეთ თქვენცა და ჩემი დებიც“, - წერდა ტერეზას უკვე სახელოვანი მაესტრო.

საოცარი სინაზით და მხერვალებით უყვარდა და ემსახურებოდა ერთადერთ შვილს – აქილეს, რომელიც გაუჩნდა ქარაფშუტა და ფიცხი ანტონია ბიანკასგან. ამ ლამაზმა, მაგრამ თავქარიანმა მომღერალმა დგომის ანაბარა მიატოვა მამა-შვილი და ცალკე გადავიდა საცხოვრებლად. აქილეს ძალზე მოსიყვარულე და ყურადღებიანი შვილი



იყო.


როგორც ამბობენ, საკმაოდ ენაწყლიანი პაგანინი მეგობრების წრეში თავს ყოველთვის ბედნიერად გრძნობდა; იყო გულდია, არ იჩენდა ქედმადლობას. ჰქონდა იუმორის კარგი გრძნობა; იცოდა თანადგომის ფასი.

ერთხელ უავე სახელოვანმა პაგანინმ ქუჩაში დაინახა პატარა ბიჭუნა, რომელიც ვიოლინოზე უკრავდა. და... თვალზე დაუდგა თავისი უდარიბესი – შავი კატის შესახვევი. ბიჭუნასგან ისიც შეიტყო, რომ დედისა და დებისათვის პურის საყიდელ ფულს აგროვებდა.

პაგანინმა გამოართვა ბიჭუნას მისი უბადრუკი ვიოლინო და დაუკრა. მალე ირგვლივ ზღვა ხალხი მოგროვდა. დაკვრა რომ დაასრულა, ქუდი მოიხადა და ხალხს ჩამოუარა; მონეტები სეტენასვით ჩაცვივდა ქუდში. მაესტრო იმ დღეს ძალიან ბედნიერი იყო.

პაგანინმა შესანიშნავად იცოდა საკუთარი ნიჭისა და შემოქმედების ფასი.

„ხალხს არასოდეს გაუნედლება ჩემი მოხმენის სურვილი. შენი აზრით, მაინც რამდენი პაგანინი მოიძებნება ამ ქვეყანაზე?“ - წერდა იგი უახლოეს მეგობარს, მევიოლინე – ჯერმის.



სიპატიულის 706 დაწერილი ბარათი

„ბელისნერით ვიოლინოსთან მიჯაჭვული“

ბენებისგან საოცარი მებესიერებით მომადლებული მუსიკოსი თითქმის ყოველთვის ნოტების გარეშე უკრავდა. კონცერტის წინ მუდამ დელავდა, მაგრამ ბავშვივით ახარებდა მადლიერების ნიშნად მიძღვნილი ყვავილები, მუდამ რომ ეწყო ლამაზად მისი ოთახის ლარნაკებში.

მან საოცრად წარმატებული გასტროლებით არაერთგზის შემოიარა მთელი ეკროპა; აღფრთვანებული მაყურებლის წინაშე იდგა „ლა სკალას“ სცენაზეც;

შებერტი იტყვის: „მის ადაურში* ანგელოზების გალობა მესმოდა.“

ნაკლებად ემოციური როსინი ერთხელ იტირებს, როცა მოისმენს მის კონცერტს; და ეს თავადაც გაუკირდება მერკ.

ფერწენც ლისტი იტალიელ მაესტროს „ზებუნებრივ სასწაულს“ უწოდებს.

პაგანინის შემოქმედებითი გზა მოულოდნელად შეფერხა უავე ძალზე შერყეულმა ჯანმრთელობამ.

ეს იყო 1834 წელს. მას დაეწყო სააზმური ხველა, კრუნჩხვითი შეტევები, რის გამოც არ შეეძლო ჭამა და ლაპარაკი – თავის თხოვნას ის ფურცლებზე წერდა.

უდიდესი კომპოზიტორისა და შემსრულებლის, კონსერვატორიის პედაგოგისა და ორკესტრის დირიჟორის, მუსიკალური რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის – ნიკოლო პაგანინის სიკვდილის შემდეგ, 1840 წელს, მის ანგარიშზე იყო რამდენიმე მილიონი ფრანკი.

თავისი საყვარელი „გვარერის ვიოლინო“ მან უძღვნა გენუას – მშობლიურ ქალაქს. მოგვიანებით ინსტრუმენტმა მიიღო „პაგანინის ქვრივის“ სახელწოდება.

უდიდესი მაესტროს სიცოცხლის ბოლო წუთებს ამაღლევებლად აღწერს ბიოგრაფი:

„პაგანინი საძინებელი ოთახის ფანჯარასთან იჯდა. ჩამავალმა მზის შექმა წითლად შეაფერადა

დრუბლები. კოხებად გამოწყობილი ქალ-ვაჟები ბულვარში დასეირნობდნენ. პაგანინიმ ერთხანს უცქირა აურიამებულ ხალხს, მერე მზერა საწოლთან ჩამოყიდვებულ ლორდ ბაირონის შესანიშნავ პორტრეტზე გადაიტან. ჩაფიქრდა. შემდეგ უცებ გამხნევდა და დაწერა ყველაზე ლამაზი მუსიკალური პოემა, რომლის მსგავსი მის შთაგონებას მანამდე არც შეუქმნია. დაასრულა თუ არა ამ საოცარი დრამის ბოლო მელოდიური ფრაზა, ანაზდად გაყინულ თითებში ვიოლინოს ხემი დადუმდა.“

ნიკოლო პაგანინის ბიოგრაფი დაწერს მასზე:

„როგორც ადამიანი, სულის სიღრმეში მუდამ ეული და როგორც შემოქმედი – ბედისწერით ვიოლინოსთან მიჯაჭვული“.



ქან ობიშესჭ დომინიკი - „ნიკოლო პაგანინი“. 1819 წ.



გუგიმარჯოს, კოში!

საგურამოს მწერალთა სახლში გალაკტიონი და კონსტანტინე გამსახურდია ისვენებდნენ. დილაობით ვესტიბიულში შეხვედრა ასეთი მისალმებით იწყებოდა:


- გამარჯობა, ლომო!
- ეს კონსტანტინე გამსახურდიაა.
- გაგიმარჯოს, ვეფხვო! – პასუხობს გალაკტიონი.

ერთ დღეს ბატონმა კონსტანტინემ გადაწყვიტა, ტაქტიკა შეეცვალა:

- გამარჯობა, ვეფხვო!
- გალაკტიონი, რა თქმა უნდა, არ დაიბნა და მცირე პაუზის მერე დიმილით შეაგება სიტყვა:
- გაგიმარჯოს, კოში!



კუთხი შეკრი



იოჰანეს ბრამსი დიდად აფასებდა იოჰან შტრაუსის ტალანტს. ერთხელ „ვალსების მეფის“ ცოლმა სთხოვა მას, რამდენიმე სტრიქონი ჩაეწერა შტრაუსის საოჯახო ალბომში.

ბრამსმა აიღო კალამი და წიგნაკში სახელდახელოდ ჩაწერა შტრაუსის ვალსის („მშვენიერ ცისფერ დუნაიზე“) ნოტები პირველი ტაქტიდან. ქვემოთ კი მიაწერა:

„სამწუხაროდ, მუსიკა ჩემი არ არის. იოჰანეს ბრამსი.“

ნიუტონის ნიუკა

გენიალურმა ინგლისელმა ფიზიკოსმა, ასტრონომმა და მათემატიკოსმა – ისააკ ნიუტონმა თავისი მეცნიერული ნაშრომებისთვის ლორდის ტიტული მიიღო და 26 წელიწადი პარლამენტში გაატარა.

ისედაც სიტყვაძუნწმა მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ითხოვა სიტყვა.

- ბატონებო, - მიმართა მან ლორდებს,
- თუ თქვენ საწინააღმდეგო არ გექნებათ, გთხოვთ, ფანჯარა მიახურინოთ; გამჭოლი ქარია და მეშინია, არ გავცივდე.

თქვა ეს და ისევ თავის ადგილზე დაჯდა.



საქართველო

ეთნოგრაფია	
ესმა მანია -	
ბარონი დე ბაი და აფხაზეთი	3
პერიოდი	
გურამ რჩეულიშვილი -	
სიყვარული მარტის თვეში	4
ზოგისას ისაციალი	7
კვათა ლალაძე	
ბესლეთის (თამარის) ხედი	8
ბუაკვახელი	
გენერალი „ცას მნათობი გაანათებს“	
გიორგი ტორჩქა - ბზიფი და არაგვი	9
პირი ელეონორ	
ათონელი ბერი	
გაისტოლე - ლოცვა-კურთხევა ქართველ ხალხს	10
პოტის ციხი	
გიორგი ლიონიძე -	
ნუ გათეორდები	13
ბონის ხილი	
რუსულან ქორქოლიანი -	
უბის წიგნაკის ჩანაწერები	14
ო. ენა ჩამო	
სულხან-საბა რობელიანი -	
აღსასრული ვესევიატსკოეში	18
ცეილონ მასნავიებელი	
თამარ თათარაშვილი -	
გახსოვთ, ბატონო ნოდარ?	20
საქობას მხოლოდ აფხაზეთში	
ლამარა ასიებიშვილი -	
ვიეტნამის იორდასალამი	24
იცის ბზით	
როსტომ ჩხეიძე -	
ილია რომ არ მოეკლათ	25
მინის მისამართია:	
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. № 68.	
ტელ.: (+995) 598 93 92 84;	
(+995) 599 12 66 80;	
ელ-ფოსტა: nachi3-27@hotmail.com	
მინის მისამართია:	
იალქანი № 1 (33). 2016 წ.	
აფქიო № 1 (6). 2016 წ.	
ფინანსი:	
ტირაჟი: 500 ც.	
ფასი სახელშეკრულებო.	
სალამურას პასუხისმ:	
1-ა 2-გ 3-გ 4-ა 5-გ 6-ბ 7-ა 8-ბ 9-ა 10-ა	

„სალამურას“ პასუხისმ:

1-ა 2-გ 3-გ 4-ა 5-გ 6-ბ 7-ა 8-ბ 9-ა 10-ა

ჩვენი მისამართია:

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. № 68.
 ტელ.: (+995) 598 93 92 84;
 (+995) 599 12 66 80;
 ელ-ფოსტა: nachi3-27@hotmail.com


იალქანი № 1 (33). 2016 წ.

აფქიო № 1 (6). 2016 წ.

ტირაჟი: 500 ც.
 ფასი სახელშეკრულებო.



**საქართველოს გამოცის აფხაზეთის ა. რ. მთავრობისა და
უმაღლესი საბჭოს მხარცაჭერით**



"კაცხის სვეტი". ღუკა ქობარია. 16 ნოის.